დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
07.03.2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **მანანა**

გვარი **ლობჟანიძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ეკონომიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მეექვსე დონე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი/Bachelor of Economics
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0311 ეკონომიკა/ Economics
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ, #2 0131
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #15288; 12.01.2022
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 22 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 22 დეკემბერი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 31 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასებისად ეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელირეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში.

2. ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა;

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

3. მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება სწავლების შესაბამის ენაზე.

4. საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე.

5. რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „ ფსიქოლოგიის საფუძვლები“ შინაარსი, სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.

6. აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს.

7. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები რიგი სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედგებთან შესაბამისობის მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების თვალსაზრისით ფაკულტეტზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასოცირებული პროფესორბი.

ანგარიშის მომზადების დროს პროგრამის ხელმძღვანელი კონსულტაციებს გადიოდა პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

პროგრამის მიმართ გამოთქმული რეკომენდაციებისა და რჩევების გასათვალისწინებლად სამუშაო ჯგუფის წევრები სისტემატურად ატარებდნენ შეხვედრებს, სადაც გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს. დისკუსიების დროს გენერირებული იდეები და რჩევები გათვალისწინებულ იქნა პროგრამაში.

აღნიშნული ჯგუფი პერიოდულად ხვდებოდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ვიცე-რექტორი, რომლის რეკომენდაციებიც ხარისხის განვითარების კუთხით, გამოყენებულ იქნა ჯგუფის მუშაობისა და ანგარიშის მომზადების პროცესში.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები სასურველია იმავდროულად აისახოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ამჟამად 2018 წლით დათარიღებული ინგლისურენოვანი პროგრამაა წარმოდგენილი;
2. სასურველია, რომ პროგრამის ფარგლებში მეტად გაიმიჯნოს ეკონომიკის და ბიზნესის საგნები და ეს უკანასკნელი თავისუფალი კომპონენტის/ არჩევითი კურსების ბლოკში გადავიდეს.

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

3. სწავლის შედეგებთან სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით სასურველია ცალკეული არჩევითი საგნების გადანაცვლება სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში (მაგალითად, შრომის ეკონომიკა, ქცევითი ეკონომიკის შესავალი, მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა, ინოვაციური ეკონომიკა და სხვა.);
4. გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები იქ, სადაც ერთიდაიგივე საგანი სხვადასხვა სიტყვებით არის ფორმულირებული;
5. სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურის დალაგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემული სქემის მიხედვით - სწავლების ძირითადი სფეროს და თავისუფალი კომპონენტები, სავალდებულო და არჩევითი კურსების ქვეკატეგორიები.
6. სასურველია გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ნამუშევრების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით
7. სასურველია, პერსონალი და სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებული პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
8. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა დასაქმების მიზნით კვალიფიკაციის შესაბამისად; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება პოტენციურ დამსაქმებლებთან სტუდენტების ჩართულობით.
9. სასურველია, დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
10. სასურველია ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.
11. სასურველია ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.
12. დაწესებულებამ უზრუნველყოს დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროგრამის კოლეგიალური გარე შეფასება და ამ მიზნით წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

რჩევების განხილვისა და გათვალისწინების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი და სამუშაო პროცესი რეკომენდაციების განხილვისა და გათვალისწინების მიზნით შექმნილის ანალოგიური იყო.

დამატებითი ინფორმაცია[10]

არ არის

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში.
შეფასება	რეკომენდაციების საფუძველზე გადაიხედა ინდივიდუალური კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში, კერძოდ საგანი „ფსიქოლოგიის პრინციპები“ აკრედიტაციაზე წარდგენილ პროგრამაში გადიოდა მეორე შედეგზე (LO2) „სტუდენტი განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ცნებებს, კატეგორიებს, პრინციპებს. მსჯელობს მიკრო, მაკრო, საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე” განმტკიცების (მე-2) დონით, კორექტირებულ პროგრამაში კი გადის მეშვიდე შედეგზე (LO7) გაცნობის (პირველი) დონით. გარდა ამისა, განხორციელდა მცირედი ტექნიკური ცვლილება პროგრამის სტრუქტურაში. აღნიშნული სასწავლო კურსი სააკრედიტაციოდ წარდგენილ პროგრამაში მითითებული იყო, როგორც ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსი. კორექტირებულ პროგრამაში ფსიქოლოგიის პრინციპებმა გადაინაცვლა თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო საბაზისო კურსებში და პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი ● სავალდებული სასწავლო კურსები – 98 კრედიტი ● პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი; ● საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი; ● არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი; შეთავაზებული 55 კრედიტიდან; სტუდენტმა მინიმუმ 10 კრედიტი უნდა შეასრულოს ეკონომიკის მიმართულების კურსებით. ***თავისუფალი კომპონენტი - 115 კრედიტი:*** სავალდებულო: ● საბაზისო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი; თავისუფალი-არჩევითი: ● არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი; სტუდენტმა უნდა აითვისოს 10 კრედიტი შეთავაზებული 39 კრედიტიდან; ● უცხო ენის კომპონენტი - 20 კრედიტი; ● თავისუფალი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი; სასწავლო კურსი „ფსიქოლოგიის პრინციპები“ საჭიროა რომ იყოს სავალდებულო სასწავლო კურსი, ვინაიდან იგი წარმოადგენს არჩევითი სასწავლო კურსის “ქცევითი ეკონომიკის შესავალის” შესწავლის წინაპირობას.
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამა, სილაბუსები
რეკომენდაცია V[15]	რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ შინაარსი, სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
შეფასება	რეკომენდაცია I აღწერილია სასწავლო კურსი „ფსიქოლოგიის პრინციპები“ მონაწილეობს პროგრამის მეშვიდე შედეგის (LO7) მიღწევაში გაცნობის (პირველი) დონით. სასწავლო კურსის შინაარსი და

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაციაგადმოიტანეთ უცვლელად)

	სწავლის შედეგები (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) გაცნობის დონით შესაბამისობაშია პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგთან. აღნიშნული სასწავლო კურსის დასახელება დაკორექტირდა #4 რჩევის შესაბამისად
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამა, სილაბუსი
რჩევა[16]I	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები სასურველია იმავდროულად აისახოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ამჟამად 2018 წლით დათარიღებული ინგლისურენოვანი პროგრამაა წარმოდგენილი.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია. ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა განხორციელებული ცვლილებებით განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, https://ibsu.edu.ge/wp-content/uploads/2019/11/Economics-Eng-ProgramGeo-Version.pdf
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II[17]	ბიბლიოთეკამ უნდა უზრუნველყოს სავალდებულო ლიტერატურის ადგილზე არსებობა.
შეფასება	ყველა სავალდებულო ლიტერატურა წიგნადი თუ ელექტრონული სახით შესულია ბიბლიოთეკის კატალოგში. ბიბლიოთეკის შესახებ ზოგადი ინფორმაციის წაკითხვა შესაძლებელია ვებ გვერდზე

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	.https://ibsu.edu.ge/ge/home-library/ ბეჭდური წიგნები კატალოგი: https://library.ibsu.edu.ge/eg/opac/home ციფრული წიგნების კატალოგი: იხ აქ. https://sites.google.com/ibsu.edu.ge/library/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98?authuser=0&pli=1 რიდერები : ბეჭდური სახით https://ibsu.edu.ge/ge/library-page/%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%93%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/ ციფრულ/ელექტრონულ წიგნებზე წვდომისთვის აუცილებელია gmail-ის მეილი testreader2023@gmail.com და პაროლი test@2023
მტკიცებულებები	ბიბლიოთეკის კატალოგი, ელექტრონული პორტალი, სილაბუსები.
რეკომენდაცია III[18]	მიზანშეწონილია სისტემატურად ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება სწავლების შესაბამის ენაზე.
შეფასება	სასწავლო კურსებში ლიტერატურა განახლდა უახლესი გამოცემებით: მათემატიკა I (8 გვერდი) (The main book , R. Barnett, M. Ziegler, and K. Byleen, “Calculus for Business, Economics, Life Sciences, and Social Sciences” (12th edition). *Pearson*, *Prentice Hall,* 2011. Updated with R. Barnett, M. Ziegler, and K. Byleen, “Calculus for Business, Economics, Life Sciences, and Social Sciences” (14th edition). *Pearson*, *Prentice Hall,* 2019. მათემატიკა II (8 გვერდი) (The main book , R. Barnett, M. Ziegler, and K. Byleen, “Calculus for Business, Economics, Life Sciences, and Social Sciences” (12th edition). *Pearson*, *Prentice Hall,* 2011. Updated with R.

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	Barnett, M. Ziegler, and K. Byleen, "Calculus for Business, Economics, Life Sciences, and Social Sciences" (14th edition). *Pearson*, *Prentice Hall,* 2019. სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის I (13 გვერდი) (The main book and additional books were updated , with David R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas A. Williams "Statistics for Business and Economics", 13th edition 2018, Harold O. Kiess. Statistical Concept for the Behavioral Sciences, 4th edition 2020, and Newbold, P., Carlson, W.L., Thorne, B.: Statistics for Business and Economics, Prentice Hall, Upper Saddle River. 10-th Edition, 2022 სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის II (13 გვერდი) The main book and additional books were updated , with David R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas A. Williams "Statistics for Business and Economics", 13th edition 2018, Harold O. Kiess. Statistical Concept for the Behavioral Sciences, 4th edition 2020,and Newbold, P., Carlson, W.L., Thorne, B.: Statistics for Business and Economics, Prentice Hall, Upper Saddle River. 10-th Edition, 2022 მიკროეკონომიკის საფუძვლები (11 გვერდი) (basic literature , was updated with "Principles of Microeconomics, Karl E. Case, Ray C. Fair, Pearson, 2019., and Auxiliary literature was updated the book Principles of Microeconomics, N. Gregory Mankiw, Cengage Learning, 2020. მაკროეკონომიკის საფუძვლები (11 გვერდი) (basic literature , was updated with "Principles of Macroeconomics, Karl E. Case, Ray C. Fair, Pearson, 2019., and Auxiliary literature was updated the book Principles of Macroeconomics, N. Gregory Mankiw, Cengage Learning, 2020. ფსიქოლოგიის პრინციპები (9 გვერდი)(Basic literature (" Myers, D. G., & Twenge J. M. (2019). Social Psychology (13th ed.)), and additional book were updated (Aronson, E.,

	& others. Social Psychology (10th Edition).Pearson edition, 2021.) მონეტარული ეკონომიკა (13 გვერდი) The basic book (Mishkin Frederic S. (2022) The Economics of Money, Banking, and Financial Markets (13th ed.). Pearson, Addison Wesley. And additional book , (Gwartney J., Stroup R.(2020), Macroeconomics, The Dryden Press) waw updated. ეკონომეტრიკა I (13 გვერდი) Basic book , was updated (Wooldridge, Jeffrey M. (2018). Introductory Econometrics – A Modern Approach, seventh edition.) ეკონომეტრიკა II (14 გვერდი) Basic book , was updated (Wooldridge, Jeffrey M. (2018). Introductory Econometrics – A Modern Approach, seventh edition.) მიკროეკონომიკა (საშუალო დონე)(12 გვერდი) Basic book (Jeffrey M. Perloff (2018), Microeconomics (8th edition), Pearson) and additional book (Jeffrey M. Perloff (2021), Microeconomics with Calculus (5th edition), Pearson) was updated. მაკროეკონომიკა (საშუალო დონე) (9 გვერდი) Basic book was updated (Macroeconomics, Olivier Blanchard, 4th Edition, Pearson, 2021. საერთაშორისო ეკონომიკა(12 გვერდი) Basic book (Paul R. Krugman, Maurice Obsfeld, Melitz Marc, International Economics: Theory and Policy. (12-th Ed.), 2023.) and additional book (Rajat Ajarya, International Economics, 2nd edition, Oxford Press, 2022) was updated.
მტკიცებულებ(ები)ა	ბიბლიოთეკის კატალოგი, პროგრამა, სილაბუსები
რეკომენდაცია IV[19]	საჭიროა სასწავლო კურსებში ინტეგრირებული იყოს უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე.

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	ყველა ძირითადი კურსი დაფუძნებულია განახლებულ ლიტერატურასა და მასალებზე შესაბამის სწავლების ენაზე. შესაბამისად, სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია უახლესი ინფორმაცია თანამედროვე ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე. დაწვრილებითი ინფორმაცია იხ.რეკომენდაცია III
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამა, სილაბუსები
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VI[20]	აუცილებელია პრაქტიკა/ სტაჟირების პროფილური გაძლიერება, რათა პროგრამის კურსდამთავრებულთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი იყოს.
შეფასება	რეკომენდაციის საფუძველზე გაძლიერდა პრაქტიკა/სტაჟირების პროფილი, პროგრამამ გააფორმა მემორანდუმი „ეკონომიკური ტრანსფორმაციის ცენტრთან“, სადაც სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას, ასევე მემორანდუმი გაფორმდა კომპანია „SPERO INVEST“, რომელიც ორიენტირებულია საერთაშორისო ვაჭრობაზე და სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას პროფილის შესაბამისად.
მტკიცებულებ(ები)ა	გაფორმებული მემორანდუმები
რჩევა[21]III	სასურველია, რომ პროგრამის ფარგლებში მეტად გაიმიჯნოს ეკონომიკის და ბიზნესის საგნები და ეს უკანასკნელი თავისუფალი კომპონენტის/ არჩევითი კურსების ბლოკში გადავიდეს.
შეფასება	პროგრამაში ეკონომიკის და ბიზნესის სასწავლო კურსები შეთავაზებულია არჩევითი კომპონენტების ბლოკში და ეკონომიკის სასწავლო კურსები

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	/გამიჯნულია. არჩევით ბლოკში შეთავაზებული 94 კრედიტიდან სტუდენტმა მინიმუმ 10 კრედიტი უნდა შეასრულოს ეკონომიკის მიმართულების კურსებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ეკონომიკის და ბიზნესის სასწავლო კურსები შეისწავლოს თავისუფალი კომპონენტის 50 კრედიტის ფარგლებში.
მტკიცებულებ(ები)ა	საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VII[22]	რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები რიგი სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიზნით.
შეფასება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეამოწმა მოდიფიცირებული პროგრამა. მოდიფიცირებისას გათვალისწინებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოსაზრებები. შემოწმდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა. სასწავლო კურსი „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ ნაცვლად პროგრამის მეორე შედეგისა მონაწილეობს მე-7 შედეგის მიღწევაში გაცნობის დონით.
მტკიცებულებ(ები)ა	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული ეკონომიკის ინგლისურენოვანი პროგრამის მონიტორინგის დოკუმენტი.

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[23]I	გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზები იქ, სადაც ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა სიტყვებით არის ფორმულირებული.
შეფასება	ტექნიკური ხარვეზები რჩევის საფუძველზე გამოსწორდა (სოციოლოგიის პრინციპები, ფსიქოლოგიის პრინციპები, ფილოსოფიის პრინციპები).
მტკიცებულებ(ები)ა	პროგრამა, სილაბუსები

თანდართული დოკუმენტაცია24

1) **ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა - 37 გვერდი**

სილაბუსები

1. მათემატიკა I (ქართული ვერსია -13 გვერდი)
2. მათემატიკა II (ქართული ვერსია -12 გვერდი)
3. სოციოლოგიის პრინციპები (ქართული ვერსია - 17 გვერდი)
4. სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის I (ქართული ვერსია -17 გვერდი)
5. სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის II (ქართული ვერსია -18 გვერდი)
6. მიკროეკონომიკის საფუძვლები (ქართული ვერსია -12 გვერდი)
7. მაკროეკონომიკის საფუძვლები (ქართული ვერსია -12 გვერდი)
8. ფსიქოლოგიის პრინციპები (ქართული ვერსია -13 გვერდი)
9. მონეტარული ეკონომიკა (ქართული ვერსია -21 გვერდი)

[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[24]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

10. ეკონომეტრიკა I (ქართული ვერსია -17 გვერდი)
11. ეკონომეტრიკა II (ქართული ვერსია -17 გვერდი)
12. მიკროეკონომიკა (საშუალო დონე) (ქართული ვერსია -16 გვერდი)
13. მაკროეკონომიკა (საშუალო დონე) (ქართული ვერსია -15 გვერდი)
14. საერთაშორისო ეკონომიკა (ქართული ვერსია -21 გვერდი)

2)ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა ინგლისურენოვანი ინგლისური ვერსია -29 გვერდი

სილაბუსები:

1. მათემატიკა I (ინგლისური ვერსია - 8 გვერდი)
2. მათემატიკა II (ინგლისური ვერსია -8 გვერდი)
3. სოციოლოგიის პრინციპები (ინგლისური ვერსია -11 გვერდი)
4. სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის I ინგლისური ვერსია -(11 გვერდი)
5. სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის II (ინგლისური ვერსია -13 გვერდი)
6. მიკროეკონომიკის საფუძვლები (ინგლისური ვერსია - 11 გვერდი)
7. მაკროეკონომიკის საფუძვლები (ინგლისური ვერსია -11 გვერდი)
8. ფსიქოლოგიის პრინციპები (ინგლისური ვერსია -9 გვერდი)
9. მონეტარული ეკონომიკა (ინგლისური ვერსია -13 გვერდი)
10. ეკონომეტრიკა I (ინგლისური ვერსია -13 გვერდი)
11. ეკონომეტრიკა II (ინგლისური ვერსია -14 გვერდი)
12. მიკროეკონომიკა (საშუალო დონე)(ინგლისური ვერსია -11 გვერდი)
13. მაკროეკონომიკა (საშუალო დონე)(ინგლისური ვერსია - 9 გვერდი)
14. საერთაშორისო ეკონომიკა (ინგლისური ვერსია -12 გვერდი)

3)ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი (1 გვერდი)

4)მემორანდუმები - 2 მემორანდუმი (6 გვერდი)

ექსპერტის ხელმოწერა